22/04/2025

MES 4 25 0000431707

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის" დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლა:
ეკატერინე კურტანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლა:
თეა ბერაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №1 საჯარო სკოლა:
ნონა გორგოძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა:
მანონი გამსახურდია - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №26 საჯარო სკოლა:
ბაია გაბაიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №115 საჯარო სკოლა:
თამარ ხუბაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლა:
მანანა ჯალაბაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №60 საჯარო სკოლა:
შოთა მალაზონია - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლა:
ნინო ჟამიერაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე

სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლა:
ნატო გოგუაძე - სკოლის დირექტორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 04 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ქალაქ თბილისის №26 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6.სსიპ - ქალაქ თბილისის №115 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8.სსიპ - ქალაქ თბილისის №60 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

9.სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10.სსიპ - ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №26 საჯარო სკოლის წარმომადგენელს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი, ვერ უერთდებოდა საბჭოს სხდომას და დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხი, განეხილათ მას შემდეგ, როდესაც სკოლის წარმომადგენელი შეძლებდა ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრას.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

1. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 დეკემბრის N1667698 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო - უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევისა და ნასამართლეობის შესახებ ცნობები.
დაწესებულების მიერ წარმოადგენილ იქნა ცნობები და სახანძრო უსაფრთოებასთან დაკავშირებით პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით მიწერილობები სხვადასხვა უწყებებთან.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოუდგენილი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ეკატერინე კურტანიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ რეკომენდაციები გაცემული იყო 3.1 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით. მისი თქმით, სავალდებულოდ წარმოსადგენი ცნობები სკოლას უკვე გამოგზავნილი ჰქონდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო ვერ მოიპოვეს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლის დირექტორის განმარტებით, სანამ სკოლა ავტორიზაციას გაივლიდა, მათ ჰქონდათ სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შესახებ დასკვნა, რომელშიც მითითებული იყო, რომ სკოლის შენობის სხვენის ხის კონსტრუქციები უნდა დამუშავებულიყო ხანძარ საწინააღმდეგო სითხით. აღნიშნული რეკომნენდაცია სკოლას შესრულებული ჰქონდა, თუმცა, მიმდინარე პერიოდში გარკვეული რეგულაციები გამკაცრდა და დაწესებულება ვერ შეძლებდა საკუთარი ფინანსური რესურსით სხვა რეკომენდაციების შესრულებას. მისი თქმით, მიმდინარეობდა პროექტის შედგენა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, დაინტერესდა, სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რა რეკომენდაციები ჰქონდა სკოლას შესასრულებელი.
სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას ესაჭიროებოდა აუზის, ელექტრო გაყვანილობების, ავარიული განათებისა და სხვა წერტილების მოწყობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა ვადა ესაჭიროებოდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მისაღებად.
სკოლის დირექტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულება დამოკიდებული იყო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცნობებისა და სახანძრო უსაფრთოების შესახებ მიწერილობასთან დაკავშირებით.
ხოლო, იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:15 საათი
დასრულების დრო: 15:19 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 დეკემბრის N 1667698 ოქმის მე-6 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო გომში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.1 და 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ნატალია ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა მზრუნველი გარემო. სკოლა გამოირჩეოდა მაღალი სანდოობით და კვალიფიციური კადრებით. ექსპერტის განცხადებით, სკოლა იყო სრულად ადაპტირებული, როგორც პანდუსით, ისე ლიფტით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ყუთი - „ჩემი ხმა“, რომლის დახმარებითაც სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს და მშობელს ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მიეტანა დირექციამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რატომ მოხდა სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სახელმწიფო ენის კათედრების გაერთიანება. სკოლის დირექტორმა, ეკატერინე კურტანიძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სკოლაში მხოლოდ ორი მასწავლებელი იყო დასაქმებული და თანამშრომლობის გაზრდის მიზნით სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ორი

კათედრის გაერთიანების თაობაზე. საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა რომელი საგნის სპეციალისტი ასწავლიდა სამოქალაქო განათლებას. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში აღნიშნულ საგანს სამოქალაქო განათლების მიმართულებით სერტიფიცირებული მასწავლებელი ასწავლიდა. ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ კათედრების გაერთიანება ხდება მაშინ, როდესაც კათედრაზე მხოლოდ ერთი ადამიანია და სკოლას მისცა რეკომენდაცია აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა რაში გამოიხატებოდა აღნიშნული კათედრების თანამშრომლობა. სკოლის დირექტორის განმარტებით მასწავლებლები ახორციელებდნენ საერთო პროექტებს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ პრეზენტაციის დროს წარმოდგენილ ფოტო - მასალაზე, სადაც ჩანდა რომ სკოლის შენობაში არსებული კიბეები მოხატული იყო სხვადასხვა მათემატიკური ფორმულებით. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ვისი იდეით და ვის მიერ განხორციელდა აღნიშნული. სკოლის დირექტორმა ეკატერინე კურტანიძემ აღნიშნა, რომ იდეა ეკუთვნოდა სკოლის ყოფილ დირექტორს, რომლის მონდომებით და სკოლის ხელოვნების მასწავლებლის ჩართულობით მოხდა სკოლის კიბეების შემოქმედებითად მოხატვა.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ მდგრადობის დოკუმენტზე და სკოლას მიმართა კითხვით ჰქონდა თუ არა შემუშავებული რაიმე გეგმა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გამოსწორების მიზნით. სკოლის დირექტორის განმარტებით აღნიშნული პრობლემა მოცემული დროისთვის ნაწილობრივ აღმოფხვრილი იყო სამშენებლო კომპანიის მიერ. საკითხის სრულად მოგვარებას სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საჭიროებდა დახვეწას და განვითარებას და სკოლას მისცა რეკომენდაცია აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლას (ს/კ : 232550619) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო გომი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო გომი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო გომი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო - უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და პერსონალის პირად საქმეებში გასათავსებელი ცნობების: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და ნასამართლეობის შესახებ, წარმოდგენა.“

2. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 06 ოქტომბრის N1315372 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები შესაბამისობის გეგმაში ასახულ ვადაში ცენტრში წარმოედგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნა. ასევე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია აეყვანა ექიმი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნა, რაც განხილულ იქნა 2024 წლის 01 აპრილის საბჭოს სხდომაზე.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ექთნის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა არ იქნა წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, თეა ბერაძემ, ექიმის აყვანასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებამ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეათანხმა ექთნის საშტატო ერთეული. დაწესებულებამ მოიპოვა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა შენობის მდგომარეობა არ შეესაბამებოდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს. მისი თქმით, მიმართეს კერძო კომპანიას და აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება დაკავშირებული იყო დიდ ფინანსურ ხარჯებთან და ვინაიდან სკოლას არ შეეძლო საკუთარი სახსრებით აღნიშნულის აღმოფხვრა, ჰქონდათ მიწერილობა ჰქონდათ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა დრო დასჭირდებოდათ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულება დამოკიდებული იყო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეაგირებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ექთნის დანიშვნასთან დაკავშირებით, ხოლო იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1315372 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:26 საათი
დასრულების დრო: 15:30 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ოქტომბრის N1315372 ოქმის მე-6 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, პაშა გულორდავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურში. სკოლა ახორციელებდა დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 300 მოსწავლე.
ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობები და რამდენიმე კომპონენტი სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა შემდეგნაირად:
პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) შეფასდა სრულ შესაბამისად.
რაც შეეხებაა მესამე სტანდარტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) ასევე შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან მხოლოდ ერთი კომპონენტი 3.4. (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასდა მეტწილად.
ექსპერტმა, პაშა გულორდავამ, ასევე ისაუბრა გარკვეულ ინდიკატორებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე, რომლებიც დასკვნაში დეტალურად იყო გაწერილი.
ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის (მოსწავლეთა მხარდაჭერა) ორივე კომპონენტი, 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) და 4.2.(მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები).
რაც შეეხება მეორე სტანდარტის-სასკოლო კურიკულუმის ოთხივე კომპონენტს: 2.1(კურიკულუმის შემუშავება), 2.2(კურიკულუმის განხორციელება), 2.3(კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება), 2.4(კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია) ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.
ექსპერტმა, პაშა გულორდავამ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის თაობაზე. მისი განმარტებით, დაწესებულება გამოირჩეოდა მაღალი სასკოლო კულტურით, ურთიერთთანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებით, სკოლის პროგრესზე ორიენტირებული სასკოლო საზოგადოებით. სკოლა იყო ახალი რეაბილიტირებული და

ადაპტირებული, ჰქონდა ნათელი ოთახები, დერეფნები და შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ასევე, სკოლას ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და რესურსოთახი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს მდივანი მანანა ჯინჭარაძე დაინტერესდა სკოლაში არსებული წიგნის კლუბის ფუნქციონირებით და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ესაუბრა კლუბის საქმიანობის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლუბი ფუნქციონირებდა ძირითადად სახელმწიფო ენის კათედრაზე, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვასა და განხილვაში, რაც ზრდიდა წიგნიერების დონეს. საბჭოს მდივანმა, რეკომენდაცია გასცა კლუბის წესდებასთან დაკავშირებით, რასაც დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, სკოლა გონივრულად გამოიყენებდა და გამოასწორებდა ხარვეზს.
რჩევა გასცა ასევე, საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, შრომით ხელშეკრულებებში ასახულიყო სავალდებულო პირობები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ N959 ბრძანების საფუძველზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 230078304) 9წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დილიკაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დილიკაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დილიკაური

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2027 წლის აპრილში 3.4. კომპონენტთან მიმართებით, ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.“

3. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრულირეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №1 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა უფლებების ჩამორთმევის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ნასამართლეობის შესახებ ცნოებები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.
დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და მოთხოვნილი ცნობები.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას არ წარმოუდგენია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ნონა გორგოძის განმარტებით, დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების გეგმაში გაწერილი რეკომენდაციები შეასრულეს ნაწილობრივ, გასაკეთებელი რჩებოდათ სახანძრო პანელი და დეტექტორები.მისი თქმით დაწესებულება საკუთარი ხარჯებით ვერ შეძლებდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის. აქვე, სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ შენობა იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია,კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და მოთხოვნილი ცნობები. ხოლო იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია

ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:36 საათი
დასრულების დრო: 15:39 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-6 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**6. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა თვითაცილება სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართებით, ვინაიდან საბჭოს წევრი ჩართული იყო სკოლის შიდა მხარდამჭერ ჯგუფში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვერა ყურულაშვილმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ ზესტაფონში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N38-ში. დაწესებულებას სურდა

ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 600. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა მოთხოვნილ რაოდენობას.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი

საჭიროებები და ექსპერტებმა დარღვევად მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა:
პირველი სტანდარტი, სკოლის ფილოსოფია, შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი, ვინაიდან ორივე კომპონენტი 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები და კომპონენტი 1.2 - სკოლის დაგეგმვა და განვითარება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სტანდარტთან სრული შესაბამისობით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად: 3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება; 3.2. პერსონალის განვითარება - შეესაბამება; 3.3. პროცესის მართვა - შეესაბამება; 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება; 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა - შეესაბამება; 3.6. საინფორმაციო რესურსები - მეტწილად შეესაბამება და 3.7. ფინანსური რესურსები შეესაბამება. ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა ,ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.
ექსპერტის განმარტებით, მეორე სტანდარტი სასკოლო კურიკულუმი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“ ვინაიდან სტანდარტის ოთხივე კომპონენტი, 2.1-კურიკულუმის შემუშავება; 2.2-კურიკულუმის განხორციელება; 2.3-კურიკულუმის მონიტორინგი; 2.4-ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც „სრულად შესაბამისი“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ შენობაში, რომლებიც ერთმანეთთან იყო დაკავშირებული გადასასვლელი ხიდით. სკოლას ჰქონდა ფართო და ნათელი დერეფნები, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი და საპირფარეშოები. ექსპერტის განცხადებით სკოლა იყო სრულად ადაპტირებული. ამასთანავე სკოლას ჰყავდა შეკრული, თანამშრომლობითი გუნდი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, რა ნაბიჯები ჰქონდა სკოლას გადადგმული.
სკოლის დირექტორმა, ნონა გორგოძემ, განაცხადა რომ სკოლაში 25 ივლისს ვიზიტის პერიოდში იმყოფებოდნენ სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები და შეაფასეს სკოლის სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობა, რაზეც მიმდინარე წლის 01 აგვისტოს მიღებულ იქნა აქტი სკოლის მიერ შესასრულებელი რეკომენდაციების თაობაზე .

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 230053535) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქ ზესტაფონი, რევაზ ლაღიძის ქუჩა N38
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქ ზესტაფონი, რევაზ ლაღიძის ქუჩა N38
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქ ზესტაფონი, რევაზ ლაღიძის ქუჩა N38

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, რომ 2027 წლის აპრილში წარმოადგინოს ცენტრში მესამე სტანდარტის 3.1 და 3.4 კომპონენტის დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ:

- ცნობები უფლებების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ნასამართლეობის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან;
- დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.“

4. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის მიერ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით ცენტრში წარმოედგინა ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ორივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და დასკვნა ორივე შენობის მდგრადობაზე.
დაწესებულებამ წარმოადგინა ორივე შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას არ წარმოუდგენია ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ასევე, ორივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მანონი გამსახურდიამ, აღნიშნა, რომ სკოლა იყო რეაბილიტირებული და ჰქონდა ორი კორპუსი. მისი თქმით, ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდათ დასკვნა ორივე შენობის მდგრადობის შესახებ.რაც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, სკოლის დირექტორის განმარტებით, ერთ შენობაზე საკუთარი ფინანსური რესურსით მოიპოვეს დასკვნა, ხოლო მეორე შენობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ჰქონდათ ცეცხლმაქრები. სკოლის დირექტორმა აქვე აღნიშნა, რომ პირველი სართულის კიბის უჯრედიდან გასატანი იყო მთავარი ელექტროგამანაწილებელი ფარი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ, ორივე შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. ხოლო, იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო შესრულებული (ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;ორივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან.) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:43 საათი
დასრულების დრო: 15:48 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მე-7 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის განხილვა დაიწყო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და საბჭოს წევრებთან მიმართვით, ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ, ასევე საბჭოს წევრებმაც დააფიქსირეს იგივე. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კვლავ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა, ჯგუფის თავმჯდომარეს, ირმა ხუციშვილს.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საკითხის წარდგენა დაიწყო ვიზიტის საერთო მოკლე მიმოხილვით და განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლაშიავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 02 და 03 აგვისტოს, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში შემავალი სხვა ექსპერტები და აღნიშნა, რომ მთლიანობაში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში.
აქვე განმარტა, რომ დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა ზოგადი განათლების სამივე საფეხური (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), პროგრამების განხორციელების ენა ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო - 390, რასაც ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა ორ მისამართზე, კერძოდ სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2-ში სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე იყო უზრუნველყოფილი, ხოლო მეორე მისამართზე, ზუგდიდი, დავითიანის უბანი, დადიანის N18-ში - მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა.
აღნიშნულის შემდეგ, ირმა ხუციშვილმა, ისაუბრა იმ რეკომენდაციებსა და რჩევებზე, რაც გაიცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო დასკვნის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა და ის დოკუმენტები თუ შიდა რეგულაციები, რაც დახარვეზდა პირველადი შეფასებისას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მისი დანართები და შესაბამისად ის ხარვეზები, რაც დაფიქსირებული იყო დასკვნის პროექტში, უკვე საბოლოო დასკვნაში შეფასდა, როგორც შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შემდეგ წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ავტორიზაციის სტანდარტების ექსპერტული შეფასება საბოლოო დასკვნის მიხედვით, კერძოდ 1-ლი სტანდარტი - სკოლის ფილოსოფია შეფასდა, როგორც შესაბამისი, მე-2 სტანდარტი -

სასკოლო კურიკულუმი - შესაბამისი, მე-3 სტანდარტი - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შესაბამისი, მე-4 სტანდარტიც - მოსწავლეთა მხარდაჭერა შეფასდა, როგორც შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
პრეზენტაციის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვიზუალური აღქმისათვის, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სკოლის ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტოები.
საკითხის წარდგენის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე კვირიკაშვილს, რომელმაც კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ მათ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მოუწიათ 3.4.1.1 ინდიკატორის დასაკმაყოფილებელი აქტივობების გაწერა, კერძოდ, რატომ ვერ შეძლეს მათ სახანძრო უსაფრთხოების მიწერილობისა და/ან დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა (შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული) და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მოპოვება.
აღნიშნულ კითხვაზე სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ როგორც კი მივიდა მათთან ინფორმაცია, რომ სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად ესაჭიროებოდათ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, მათ დაუყოვნებლივ გააგზავნეს ოფიციალური მიმართვები შესაბამის უწყებებში და ა ელოდებოდნენ რეაგირებებს. აქედან გამომდინარე, სკოლამ ეს აქტივობები გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.
საბჭოს სხვა წევრებს დამატებითი კითხვები აღარ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 390-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა კენჭისყრაზე დააფიქსირა უარყოფითი ხმა, რაც დაასაბუთა იმ გარემობით, რომ სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და ასევე, დასკვნა შენობის მდგრადობაზე.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლას (ს/კ: 220373566) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 390-ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი,კინწურაშვილისN2 / ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი დავითიანი, დავით დადიანის I ჩიხი,N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა დაწესებულებას, რომ მოახდინოს ცენტრის ინფორმირება და 2027 წლის აპრილში გადმოაგზავნოს მე-3 სტანდარტის 3.4.1.1 ინდიკატორის მტკიცებულებები, კერძოდ:

- ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;
- ორივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან;
- დასკვნა ორივე შენობის მდგრადობაზე.“

5. სსიპ - ქალაქ თბილისის №115 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №115 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ 2024 წლის 15 ნოემბერს წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას წარმოდგენილი არ ჰქონდა ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, თამარ ხუბაშვილმა, განმარტა, რომ სკოლას შეეძლო მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული რეკომენდაციების საკუთარი სახსრებით შესრულება, თუმცა,

რაც შეეხებოდა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს, დაწესებულება ვერ გასწვდებოდა. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელსაც ვერ უმკლავდება დაწესებულება და აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით მიმართული ჰქონდათ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას.
სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას ჰყავდა 32 სსსმ და 1 შშმ მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემულ დასკვნაში მითითებული იყო, რომ სკოლას ჰქონდა გამოსასწორებელი ხარვეზები და დაინტერესდა, მიმართული ჰქონდათ თუ არა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
სკოლის დირექტორის განნმარტებით, დაწესებულებას მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №115 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო შესრულებული (ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:53 საათი
დასრულების დრო: 15:59 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მე-5 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გლდანის, მე-8 მ/ რ-ში სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1650 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი), მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულირეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
მაია ლაპიაშვილმის თქმით, სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 2019-2020 წლებში სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ. ექსპერტის განცხადებით, სკოლისთვის დამახასიათებელი იყო გუნდურობა და მასწავლებლები აცხადებდნენ მაღალ მზაობას ცვლილებებისადმი. სკოლა თემში სარგებლობდა დადებითი ავტორიტეტითა და ნდობით.
ექსპერტმა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, საკლუბო მუშაობასა და პარტნიორობას რიგ ორგანიზაციებთან. სკოლა ტრენინგების, პროექტებისა და კვლევების ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობდა World Vision-თან. ასევე მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული სხვადასხვა უნივერსიტეტთან. სკოლაში განსაკუთრებით აქტიურობდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ინიციატივითაც ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის კვლევები, პროექტები და აქტივობები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, მოცემული დროისთვის ფლობდა თუ არა დაწესებულება შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ფიქრია ღამბაშიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოცემული

დროისთვის მოპოვებული ჰქონდა შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სკოლის შენობის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი, თუმცა დაწესებულებაში არსებული შენობების დამაკავშირებელი ხიდი სეისმომდგრადობის თვალსაზრისით საჭიროებდა შესაბამისი გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსულებლის, ფიქრია ღამბაშიძის, განცხადებით, სკოლა გეგმავდა აღნიშნულთან დაკავშირებით მიემართა სააგენტოსთვის. ფიქრია ღამბაშიძემ ასევე დასძინა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა მიწერილობა ზემოაღნიშნულ სააგენტოსთან სკოლაში ადაპტირებული გარემოსა და შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების საკითხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აქვე, მან ყურადღება გაამახვილა დასახელებული უწყებიდან მიღებულ პასუხზე, რომლის თანახმადაც, 2024 წელს დაგეგმილი იყო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

დავით მალაზონიამ აქცენტი გააკეთა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში კურიკულუმებში მოცემული საკითხები საჭიროებდა განვითარებას და დახვეწას. ფიქრია ღამბაშიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში იგეგმებოდა მოცემული მასალების გადახედვა და განვითარება.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა სკოლას ციფრული განვითარების გეგმა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ციფრული განვითარების გეგმა და ამასთანავე სკოლა აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, რამდენად ხდებოდა კონკრეტულ საგნებთან მიმართებით ტექნოლოგიების გამოყენება. ფიქრია ღამბაშიძის განცხადებით, სკოლაში ტექნოლოგიურ საშუალებებს იყენებდნენ სხვადასხვა საგნის ფარგლებში, როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1650 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლას (ს/კ: 209472630) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1650- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ

საბჭომ 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში. კერძოდ: ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი ფოტო- მასალა.“

6. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული გეგმა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე, ყველა თანამშრომელზე უნდა გაეხსნა პირადი საქმეები, პირად საქმეებში სრულყოფილად უნდა წარმოედგინა ცნობები, “სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლობის შესახებ” და “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ”, შეემუშავებინა კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტი, ყველა თანამშრომელზე შეემუშავებინა პროფესიულ საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც სრულყოფილად იქნებოდა გაწერილი როგორც პროცესების დაგეგმვა და მონიტორინგი, ასევე განვითარების მთელი ციკლი, შეემუშავებინა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.
დაწესებულებამ 2024 წლის 28 ნოემბერს წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მანანა ჯალაბაძემ, განმარტა, რომ გარკვეულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე მუშაობა დაიწყეს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში და რეკომენდაციათა გათვალისწინების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილი ჰქონდათ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. სკოლის დირექტორის თქმით, დაწესებულებას არ ჰქონდა პანდუსი და ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლა აპირებდა პროექტის შედგენას.
საბჭოს წევრი ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ალტერნატიული შესასვლელი. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ალტერნარიული შესასვლელი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.ხოლო იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, ადაპტირებული გარემოს მოწყობა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართელოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:06 საათი
დასრულების დრო: 16:12 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-8 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„8. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის

საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 400 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ნოდარ ანგურიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კომპონენტები: 3.1, 3.2, 3.3, 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლას მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად ჰქონდა ორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ასევე მჭიდროდ თანამშრომლობდა თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებთან. ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ სკოლის ეზოში მოწყობილი იყო „დიდების ხეივანი“, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახებისგან დარგული ვაზების ერთობლიობას წარმოდგენდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული ფინანსური ინფორმაცია და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რით იყო განპირობებული აღნიშნული
სკოლის დირექტორმა, მანანა ჯალაბაძემ, განაცხადა, რომ ისინი ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებას უზრუნველყოფდნენ ეტაპობრივად და უახლოეს მომავალში განთავსდებოდა ინფორმაცია ფინანსებთან დაკავშირებითაც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილ სამოქმედო გეგმას ეწერა „ნიმუში“ და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს აეხსნა, აღნიშნულ დოკუმენტი წარმოადგენდა პროექტს თუ უკვე მოხდა მისი დამტკიცება.
სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში გადმოგზავნილი დოკუმენტაცია არ იყო დამტკიცებული, შესაბამისად, წარმოდგენილ იქნა ნიმუშების სახით. დირექტორის განცხადებით, მოცემულ ეტაპზერიგი დოკუმენტებისა სკოლამ უკვე დაამტკიცა, თუმცა არ გამორიცხავდა მათში ცვლილებების განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლას (ს/კ: 218047432) 9წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიდისთავი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიდისთავი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიდისთავი

საბჭომ 3.1, 3.2, 3.3, 3.4, და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული გეგმისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია ასევე გაწეროს მართვასთან დაკავშირებული პროცედურები (მაგალითად შინაგანაწესში) წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ვადების დაცვით, ყველა თანამშრომელზე გახსნას პირადი საქმეები, პირად საქმეებში სრულყოფილად წარმოადგინოს ცნობები, "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლობის შესახებ" და "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" შეიმუშაოს კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტი. ყველა თანამშრომელზე შეიმუშაოს პროფესიულ საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც სრულყოფილად იქნება გაწერილი როგორც პროცესების დაგეგმვა და მონიტორინგი, ასევე განვითარების მთელი ციკლი, შეიმუშაოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები"

7. სსიპ - ქალაქ თბილისის №60 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №60 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ 2024 წლის 04 დეკემბერს წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციეების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას არ წარმოუდგენია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, შოთა მალაზონიამ, აღნიშნა, რომ კერძო კომპანიამ მოამზადა სკოლის შენობის ხანძარ საწინააღმდეგო დაცვის სისტემის, სახანძრო სიგნალიზაციის, ევაკუაციის მართვისა და ავარიული განათების პროექტი, ასევე სახანძრო სისტემების საპროექტო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შეუთანხმეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შემდგომ კი ექსპერტიზის ბიუროს. სკოლის დირექტორის თქმით, პასუხად მიიღეს, რომ ექსპერტიზები არ ტარდებოდა. საბჭოს ჩატარების დროისთვის კი ჰქონდათ ხელშეკრულება კერძო კომპანიასთან საპროექტო დასკვნის მომზადებისთვის, შემდგომ კი ექნებოდათ მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან, შესაბამისად რეკომენდაციის შესრულების ვადა დამოკიდებული იყო ინფრასტრუქტურის სააგენტოზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №60 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.ხოლო იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართელოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:20 საათი
დასრულების დრო: 16:27 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-7 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7. სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ

ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1573 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურისთვის), მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტი 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ციალა გაგნიძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას. აქტიურად ფუნქციონირებდა არაერთი კლუბი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტები. ექსპერტის განცხადებით სკოლა იყო ადაპტირებული ლიფტით. სკოლაში იყო კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო და კომპიუტერების ლაბორატორია.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1573-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლას (ს/კ: 211351348) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1573-ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და მისი შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.“

8. სსიპ - ქალაქ თბილისის №26 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №26 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ 2024 წლის 30 სექტემბერს წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას არ წარმოუდგენია სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ჟუჟუნა გაბაიძემ, აღნიშნა, რომ წარმოადგინეს დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ, რომელშიც იყო გარკვეული რეკომენდაციები და გადაუგზავნეს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, რაც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოებას, ხარჯთ-აღრიცხვა ასევე გადაგზავნილი ჰქონდათ შესაბამის სამსახურთან. ინკლუზიური გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ყველა საჭირო ოთახი განთავსებული იყო პირველ სართულზე, თუმცა, პრობლემას წარმოადგენდა სპორტ დარბაზში ჩასვლის საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №26 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
ხოლო იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც არ იყო შესრულებული (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:36 საათი
დასრულების დრო: 16:42 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-6 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**6. სსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თბილისში, პაატა საკაძის ქ. N14-ში.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის.
მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა, სურათი შეიცვალა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ.კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.4 და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს (სამივე საფეხურის კურიკულუმთან მიმართებით), შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარდგენილმა სამმა პროექტმა გაიმარჯვა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მოიპოვა დაფინანსება. პროექტების ფარგლებში მოეწყო მცირე რეკრეაციული ზონა სკოლის ეზოში „მწვანე ტერასა“, სკოლის ბიბლიოთეკისთვის სკოლამ შეიძინა წიგნები, მოეწყო და მოიხატა სკოლის წინ არსებული გადასასვლელი. დაწესებულება ჩართული იყო სამოქალაქო კლუბების სამწლიან პროექტში, რომლის ფარგლებშიც დაფუძნდა სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო განათლების კლუბი „მეწინავე“. სკოლა ამ ეტაპზე ჩართული იყო სამოქალაქო კლუბების ხელშეწყობის ხუთწლიან პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც კლუბის მიერ წარდგენილმა არაერთმა პროექტმა მოიპოვა გრანტი. სკოლა ჩართული იყო სხვადასხვა საპილოტე პროექტში: „ჭადრაკის ელექტრონული სწავლება“-მე-2-და მე-3 კლასების ჩართულობით; საგნის „პროფესიული ორიენტაციის“ სწავლება მე-9 და მე-11 კლასებში; ამჟამად სკოლა ჩართული იყო სამწლიან პროგრამაში „დებატები მომავალი წარმატებისთვის“, რომლის გათვალისწინებით, სკოლაში ფუნქციონირებდა დებატების კლუბი. ასევე საპილოტე რეჟიმში განხორციელდა სწავლება „უსაფრთხოების 10 გაკვეთილი“. სკოლა ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამაში “მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის

პრევენციის 5 პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო მოზარდებში მართლშეგნებისა და ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სკოლა არ იყო რეაბილიტირებული, თუმცა სასკოლო საზოგადოება სხვადასხვა ფორმით ზრუნავდა მასზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა რომ ექსპერტების ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა კონტექსტმაგალითებს, კერძოდ, კურიკულუმში შეიმჩნეოდა კონტექსტმაგალითების სიმწირე.
საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა, დაეზუსტებინათ, კონკრეტულად რა იგულისხმეს მოცემულ რჩევაში. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტის, ბექა კვაჭაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმები სრულყოფილად იყო შემუშავებული და აგებული, რიგ შემთხვევაში, წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ნაკლებად შეესაბამებოდა იმ საკითხს, რომლისთვისაც იყო წარმოდგენილი კონკრეტული კონტექსტმაგალითი.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ, როგორც დასკვნიდან ჩანდა სკოლას გარკვეული პერიოდი არ ჰყავდა დამლაგებელი და ბიბლიოთეკარი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა სკოლა შესაბამისი სანიტარული ზომების დაცვას.
სკოლის დირექტორმა, ბაია გაბაიძემ აღნიშნა, რომ ეს იყო მოკლე პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სკოლის ყველა წევრი ნებაყოფლობით იღებდა მონაწილეობას სისუფთავის შენარჩუნებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯაროსკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ-ქალაქ თბილისის N26 საჯარო სკოლას(ს/კ:202887625) 9წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, პაატა სააკაძის ქ. N14
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, პაატა სააკაძის ქ. N14
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, პაატა სააკაძის ქ. N14

საბჭომ 3.4. კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

9. სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის აგვისტოდან ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3.1, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ 2024 წლის 18 სექტემბერს წარმოადგინა ბიბლიოთეკართან და ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებები, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაგზავნილი მიმართვის წერილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მომზადებისთვის, სკოლის ვებ-გვერდის ბმული, სადაც ატვირთულია დოკუმენტაცია და ასევე,წარმოადგინა ვებ-გვერდზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას არ წარმოუდგენია პერსონალის ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა, ლიფტის უსაფრთხოდ გამოყენების დამადასტურებელი დასკვნა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის მოადგილემ, ნინო ჟამიერაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ შეასრულა რეკომენდაციები, მათ შორის წარმოდგენილი ჰქონდა სავალდებულო ცნობები, დაასაქმეს ბიბლიოთეკარი. რაც შეეხებოდა უსაფრთხოებას, მისი თქმით, მოსაპოვებელი ჰქონდათ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და მგრადობის შესახებ დასკვნები, ამ მიზნით კი მიმართული ჰქონდათ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, რა გეგმა ჰქონდა სკოლას ექიმის აყვანასთან დაკავშირებით.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ორჯერ გამოაცხადეს მეორე ექიმის პოზიციაზე ვაკანსია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა დრო სჭირდებოდა სკოლას აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრისთვის.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ახალი სასწავლო წლისთვის გამოსწორებული ექნებოდათ ხარვეზები.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული იყო, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ა.შ სკოლა შეიმუშავებდა სასწავლო წლის ბოლომდე და საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა უშლიდა დაწესებულებას ხელს, რომ შეემუშავებინათ სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.
სკოლის წარმომადგენლის, ნინო ჟამიერაშვილის განმარტებით, სკოლას ჰყავდა ახალი დირექტორი და ეტაპობრივად შეიმუშავებდნენ ყველა საჭირო დოკუმენტაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია,კერძოდ, ბიბლიოთეკართან და ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებები, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაგზავნილი მიმართვის წერილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მომზადებისთვის, სკოლის ვებ-გვერდის ბმული, სადაც ატვირთულია დოკუმენტაცია და ასევე, ვებ-გვერდზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება.
ხოლო იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც არ იყო შესრულებული (პერსონალის ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“; საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი; ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი; შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა; არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა; ლიფტის უსაფრთხოდ გამოყენების დამადასტურებელი დასკვნა; საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:50 საათი

დასრულების დრო: 17: 18 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ოქმის მე-2 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მარიამ გარაშვილმა. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ ბორჯომში, რუსთაველის ქ. N97-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 835 მოსწავლე.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლეს სკოლის დოკუმენტაცია. ექსპერტის განმარტებით, სკოლას სრულად ჰქონდა გაზიარებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დეტალურად ჰქონდა გაწერილი, თუ რა ვადებში შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება, შემდეგნაირად წარმოადგინა ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა:
პირველი სტანდარტის, სკოლის მისია, კომპონენტები, 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა სრულ შესაბამისად.
რაც შეეხებაა მესამე სტანდარტს- სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად:
3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება;
3.2. პერსონალის განვითარება-მეტწილად შეესაბამება;
3.3. პროცესის მართვა - მეტწილად შეესაბამება;

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება;
3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა-მეტწილად შეესაბამება;
3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება;
3.7. ფინანსური რესურსები- მეტწილად შეესაბამება.

ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.
რაც შეეხება მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები სრულ შესაბამისობაში იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით, სკოლას მიეცა არა ერთი რჩევა, რაც, სკოლამ მიზნობრივად უნდა გამოიყენოს.
გარკვეულ ინდიკატორებთან მიმართებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:
სკოლას სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.06.2023წ.) უნდა მოეწესრიგებინა პერსონალთა პირადი საქმე, კერძოდ, განათევსებინა ცნობები ,,უფლებების ჩამორთმევის შესახებ, “ ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ (ინდიკატორი 3.1.2.1);
სკოლას უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდებოდა ერთიან სისტემაში გააზრებული საკადრო პოლიტიკის კუთხით, რათა კანდიდატთა შერჩევის პოლიტიკამ და პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით (30.11.2023წ.) (ინდიკატორი 3.1.2.3);
ბიბლიოთეკარის პოზიციაზე უნდა დაასაქამებინა შესაბამისი კადრი (30.09.2023წ.)(ინდიკატორი 3.1.2.3);
სკოლას უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი (25.12.2023) (ინდიკატორი 3.3.1.1)
ექიმის საშტატო ერთეულის დამატების მიზნით, ეწარმოებინა კომუნიკაცია შესაბამის უწყებასთან, რათა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნები სამედიცინო პერსონალის რაოდენობასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით სკოლას ჰქონდა უფლება ჰყოლოდა 2 ექიმი;
მოეპოვებინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;
მოეპოვებინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ვიზიტის პერიოდში, სკოლას, ჰქონდა მიწერილობა N807589. 03.07.2023წ. შინაგან საქემათა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომლის თანახმადაც სკოლა ითხოვდა შენობა-ნაგებობის მოკვლევასა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
სკოლას შემუშავებული ჰქონდა და უნდა დაემტკიცებინა შესაბამის უწყებებთან, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ინდიკატორი-3.4.1.1)
სკოლას ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, სართულებს შორის გადასაადგილებლად ჰქონდა ლიფტი, რომელიც ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა. სკოლამ უნდა მოიპოვოს ლიფტის უსაფრთხოდ გამოყენების დამადასტურებელი დასკვნა შესაბამისი უფლებამოსილი უწყებისგან (27.07.2024წ) (ინდიკატორი- 3.5.1.3);
სკოლას, ვებ გვერდის დამზადების თაობაზე უნდა ეწარმოებინა კომუნიკაცია მართვის საინფორმაციო სისტემასთან. (30.06.2024);
უნდა გამოეყო პასუხისმგებელი პირი ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე (30.06.2024);

განეთავსებინა ვებ გვერდზე სტანდარით განსაზღვრული ინფორმაცია(30.06.2023) (ინდიკატორი 3.6.3.5)
სკოლა შეიმუშავებს და დაამტკიცებსს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს, , სადაც გამოჩნდებოდა , თუ როგორ მოხდებოდა შემოსული ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად (30.06.2024წ.).
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე. სკოლა განთავსებული იყო ორ სამსართულიან შენობაში, სკოლის ეზოში მოწყობილი იყო რეკრეაციული სივრცეები. კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებლობების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა მხარდამჭერის ნაწილს და მასთან დაკავშირებით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტს:
,,ვარდისფერი ოქტომბერი“ რომელიც ეხებოდა მკერდის კიბოს სკრინინგს; ქალთა მიმართ ძალადობის კვირეულის ფარგლებში განხორციელებული პროექტი ,,ნარინჯისფერი ნოემბერი;“
სკოლა მოაწილეობდა პროექტში, რომელიც ეხებოდა ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების განათლების ხელშეწყობას.“ ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა მეწარმეობის კლუბი ,,Anciet Beauty-ანტიკური ხელოვნება,“ სადაც იწარმოებოდა ბიზნეს გეგმები, იქმნებოდა მინი კომპანიები, პროდუქტები, ხორციელდებოდა გამოფენა-გაყიდვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
ცენტრის წარმომადგენელმა, მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სკოლამ ცენტრს მიმდინარე წლის 5 ივლისს მიმართა წერილით, რომლითაც იუწყებოდა, რომ თვითშეფასების კითხვარში მითითებული ჰქონდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობად - 835 მოსწავლე. 5 ივლისის მონაცემებით სკოლაში ირიცხებოდა 900 მოსწავლე. მოსწავლეთა რიცხოვნების მატება გამოწვეული იყო პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეთა გაზრდით. შესაბამისად, დაწესებულება შუამდგომლობდა საბჭოს მოსწავლეთა ადგილების ზვრულ რაოდენობად განესაზღვრა 900 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა, თუ არა სკოლას რესურსი მიეღო 900 მოსწავლე და შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურეობა გაეწია მათთვის. ესქპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა 900 მოსწავლისთვის განსაზღვრული რესურსები.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, წარმოედგინათ შეფასებები დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.
საზოგადოერივი მეცნიერებების ექსპერტმა, თეონა შუბლაძემ, აღნიშნა რომ მასწავლებლები ინტრვიურების დროს უზიარებდნენ ექსპერტებს, თუ, როგორ მიმდინარეობდა კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდასწრება, შესაბამისი უკუკავშირი და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. იმედი გამოთქვა, რომ სკოლა იმ რჩევებსა და რეკომენდაციებს გაითვალისწინებდა, რაც ერთობლივად შეიმუშავეს. აღნიშნული საკითხი გაიზიარა, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა ელენე ბეთლემიშვილმა და დაამატა, რომ, მართლაც, სკოლის განსაკუთრებით ძლიერი მხარე იყო მაღალი თანამშრომლური კულტურა და მოსწავლეთა მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებული სხვადასხვა პროექტი.
სკოლის დირექტორმა, ხათუნა ხარაზიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საინტერესო და ნაყოფიერი შრომისთვის და აღნიშნა, რომ ყველა ის, რეკომენდაცია, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული, სკოლას სრულყოფილად ჰქონდა შესწავლილი და გათვალისწინებდნენ სამომავლო მიზნებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2^1 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 226157342) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2.)

საბჭოს მხრიდან დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2025 წლის მაიში წარმოედგინა 3.1, 3.3, 3.5 და 3.6 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო 3.4 კომპონენტთან მიმართებით, 2027 წლის აპრილში.

10. სსიპ - ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისსაბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დადებითი დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას არ წარმოუდგენია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნატო გოგუაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომელიც დახარვეზდა გარკვეული მიზეზებიდან გამომდიანრე, კერძოდ, საკონფერენციო დარბაზიდან მოსაწყობი იყო მეორე საევაკუაციო გასასვლელი, შესაცვლელი იყო სახანძრო სიგნალიზაცია და

შესაცვლელი იყო ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა. დაწესებულებას მოპოვებული ჰქონდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მდგრადობის დასკვნა, რომელშიც ფიქსირდებოდა რომ შეუსაბამობა იყო სეისმურ ნორმებთან. მისი თქმით, კიბის დახრილობა არ იძლეოდა საშუალებას, მოეწყოთ პანდუსი, აქვე, იგეგმებოდა მეორე კორპუსის შენობა, რომელიც იქნებოდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი.
საბჭოს წევრი, ნონა ჩუბინიძე, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ეტლით მოსარგებლე მოსწავლე.
სკოლის დირექტორის თქმით, არ ჰყავდათ ეტლით მოსარგებლე მოსწავლე.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დადებითი დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. ხოლო იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზრვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართელოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 01 ნოემბრის N1474210 ოქმის 1-ელ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:25 საათი
დასრულების დრო: 17: 29 საათი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 01 ნოემბრის N1474210 ოქმის 1-ელ ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ **1. სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ.N11-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2150 მოსწავლისთვის.

სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში, ექსპერტმა ისაუბრა მოსწავლეთა მხარდამჭერ გარემოზე და განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის კლუბი, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ხორციელდებოდა არაერთი პროექტი. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა სასკოლო რადიო და მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის 3.4. და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლაში არ იყო შექმნილი ინკლუზიური გარემო, რადგან არ იყო ადაპტირებული შენობის კიბეები.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რაც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას რესურსოთახი და თუ იყვნენ სკოლაში შესაბამისი რაოდენობის სპეციალური მასწავლებლები. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლაში არ ირიცხებოდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე და რესურსოთახი განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე. სკოლას ჰყავდა სამი სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და მეტყველების თერაპევტი, რომელთა რაოდენობაც მოცემულ სიტუაციაში სრულიად საკმარისი იყო სკოლისთვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნატო გოგუაძემ განაცხადა, რომ სკოლა გეგმავდა სარეაბილიტაციო სამუშაოებს და შენობის სრულად ადაპტირებას, რა დროსაც გათვალისწინებული იქნებოდა სკოლაში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლას (ს/კ: 245428997) 9წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2150 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. N11
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. N11
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. N11

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის აპრილში, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და

შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე